საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2017 წლის 29 ნოემბრის
დადგენილება №2664

2017-2018 სასწავლო წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში სტუ-ის ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიის შერჩევის წესის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 ნოემბრის N1039 ბრძანებით სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის 2017 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებისათვის გამოყოფილი 787 სტუდენტის სახელმწიფო სტიპენდია განაწილდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის პროპორციულად, სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან;
2. სახელმწიფო სტიპენდია დაინიშნოს 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სესიების შედეგების მიხედვით;
3. ფაკულტეტებზე დეკანის ბრძანებით შეიქმნას საკონკურსო კომისია სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების შესამუშავებლად და სახელმწიფო სტიპენდიანტთა შესარჩევად, რომელიც იხელმძღვანელებს შემდეგით:
   - სახელმწიფო სტიპენდია დაენიშნებათ ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის იმ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 81%-სა და მეტს;
   - სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნისას ფაკულტეტებისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა აქტივობებში; ასეთ შემთხვევებში, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;
4. რომელიმე ფაკულტეტზე, ამ წესის მე-3 პუნქტში მითითებული აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში, გაუნაწილებელი სტიპენდიები პროპორციულად გადანაწილდეს იმ ფაკულტეტებზე, სადაც სწავლობენ მათთვის დადგენილ კვოტებზე მეტი რაოდენობის საკმარისი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები;
5. ფაკულტეტთა საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე გამოიცეს რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე